ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 2

ქ. ახმეტა

3 თებერვალი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ.კოხტაშვილი, თ.მგელიაშვილი, ა.ბუღრიძე, ა. შათირიშვილი, ნ. ალავიძე, გ. ხუცურაული, ლ. ითიურიძე, რ. გახუაშვილი, ი. მრელაშვილი, რ. ალხანაშვილი, ლ. უძილაური, გ. ხადიშვილი, თ. ბორჩაშვილი, დ. იმერლიშვილი, ვ.სუხოშვლი, თ. წითელაური, გ. მაისურაძე, შ. ტერტერაშვილი, დ. ავაზაშვილი, თ. მოზაიძე, თ. ბოდაველი, ლ. გოგოთიძე, ვ. დედაბრიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: მერის მოადგილე - ვანო ნასყიდაშვილი და პანკისის სათემო რადიოს წარმომადგენლები.

სხდომა გაიხსნა 11 ⁰⁰ საათზე.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მ.მაისურაძე/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნ.ექვთიმიშვილი/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დ.აბულაძე/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დ. აბულაძე/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების, ქ. ახმეტაში, გ. ჩოლოყაშვილის ქ. N49-ში მდებარე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.04.47.069) მესამე სართულზე არსებული 82.9კვ.მ ფართის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროსთვის, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თ. კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება:

სხდომას ესწრება 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 23

მონაწილეობა არ მიიღო: 3 (შ. ტერტერაშვილმა, ვ. დედაბრიშვილმა, გ. მაისურაძემ.)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მ.მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 4173.8 ათასი ლარით. აქედან მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებია 2799.5 ათასი ლარი, (მათ შორის წინა წლის ნაშთი 874.6 ათასი ლარი, 2021 წლის კაპიტალური ტრანსფერი 1924.9 ათ. ლარი) ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 1374,3 ათასი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 2799,5 ათასი ლარიდან 874,6 ათასი ლარი არის გასული პერიოდის, ხოლო 1924,9 ათასი ლარი 2021 წელში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის, კერძოდ:

1. 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 1924,9 ათ ლარი, რომლითაც დაფინანსდება შემდეგი ობიექტები:
   - ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე არსებული მოედნის რეკონსტრუქცია 114,4 ათ. ლარი;
   - სოფელ მატანის კულტურის სახლის რეაბილიტაცია 1305,0 ათ. ლარი;
   - ქ. ახმეტაში კახეთის ქუჩაზე საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა 125,6 ათ. ლარი.
   - ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ბორდიურებისა და ტროტუარების მოწყობა 380,0 ათ. ლარი.

წინა წლებში განკარგულებით გამოყოფილი თანხები, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან შეადგენს 874,6 ათას ლარს. აქედან:

1. 2020 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ნაშთი შეადგენს 54,1 ათ. ლარს. რომლითაც დაფინანსდება:
   - ქვემო ალვანში მდებარე სპორტული დარბაზისათვის სპორტული საქონლის შესყიდვა-მონტაჟი - 12.8 ათ ლარი;
   - თუშეთში ჯვარბოსელის ხიდის მოწყობა - 25,0 ათ. ლარი
   - ბაბანეურში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა - 16,3 ათ. ლარი.
2. 2019 წლის 18 დეკემბრის **№2630 განკარგულებით 2021 წელის ასიგნებებიდან დასაფინანსებელია (256.4 ათ. ლარი) :**
   - სოფელ ქისტაურში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 32,6 ათ. ლარი

- ქ. ახმეტაში გორგასალის I შესახვევის რეაბილიტაცია - 26,4 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე არსებული მოედნის რეკონსტრუქცია - 68,0 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ბორდიურებისა და ტროტუარების მოწყობა - 101,6 ათ. ლარი.
- სოფელ მატანის კულტურის სახლის რეაბილიტაცია 27,8 ათ. ლარი;

3. 2020 წლის 19 აგვისტოს **№1573 განკარგულებით დაფინანსდა ბაბანეურში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომლის ნაშთი შეადგენს 357,1 ათ. ლარს.**

4. **2020 წლის №27 განკარგულებით მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხის ნაშთი შეადგენს** 17,2 ათ. ლარი.
5. **2019 წლის №13 განკარგულების ნაშთი შეადგენს 75,8 ათ ლარს, რომელიც მოხმარდება საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას**

6. **2019 წლის №554 განკარულებით გამოყოფილი თანხებიდან ნაშთის ოდენობა შეადგენს 31,6 ათ. ლარს, რომელიც უნდა გადაერიცხოს ქ. ახმეტაში სასწრაფო-სამედიცინო ცენტრის მშენებლობისთვის პირველ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას. (საზედამხედველო კომპანიის მიერ მოტანილი დასკვნის შემდეგ გადაირიცხება თანხა)**
7. **2019 წლის №1355 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ნაშთის ოდენობა შეადგენს 21,1 ათ. ლარს** (2019 წლის მაისში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციოდ). ამ თანხის სამუშაოები შესრულებული აქვს კომპანიას, ვინაიდან ჯარიმას ექვემდებარება, ამიტომ კომპანიამ შეწყვიტა ჩვენთან ურთიერთობა და თანხა დარჩა ანგარიშზე. შემდგომში მოვახდენთ კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირებას
8. **2018 წლის №136 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან ვალდებულებები აისახება შემდეგნაირად:**
   - **გზები** + 50,6 ათასი ლარი, მათ შორის:
     ფალიაშვილის ქუჩის რეაბ. – 3,0 ათ ლარი; დუისი-წინუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბ. – 8,8 ათ. ლარი; ქ. ახმეტაში გურამიშვილის ქუჩის რეაბ. – 3,3 ათ. ლარი; ქ. ახმეტაში გაგარინის ქუჩის რეაბ. – 7,6 ათ. ლარი; საბეროს უბანის მისასვლელი გზის რეაბ. – 5,7 ათ. ლარი; ქ. ახმეტაში ალაზნის ქუჩის რეაბ. – 3,1 ათ. ლარი; ქ. ახმეტაში ფშავის ქუჩის რეაბ. – 1,0 ათ ლარი; ხორხელთან მისასვლელი გზის რეაბ. – 6,2 ათ. ლარი; ქ. ახმეტაში თიანეთის ქუჩის რეაბ. – 0,6 ათ. ლარი; ქ. ახმეტაში ალავერდის ქუჩის რეაბ. – 7,9 ათ. ლარი; ქ. ახმეტაში წერეთლის ქუჩის რეაბ.-3,3 ათ. ლარი. (შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%);
   - **წყლის სისტემების რეაბილიტაცია** - სოფ. ქვ. ალვნის წყალსადენის რეაბ. + 10,7 ათასი ლარი (შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%);

ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთის სახით მორჩენილია სულ 1374,3 ათასი ლარი, საიდანაც 2019 წელს თუშეთისათვის გადმორიცხული თანხიდან (სპეც. ტექნიკის რემონტი) დარჩენილია 64,0 ათ. ლარი და საკობიანოს საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის გადმორიცხული თანხის ნაშთი (გრანტი) 4,4 ათ. ლარი.

1305,9 ათასი ლარის განაწილება:

1. **დასუფთავების ღონისძიებები** - არაფინანსური აქტივების ზრდა + 160,0 ათ. ლარი. (120,0 ათ. ლარი ნაგვის ურნების (200 ცალი) შესაძენად, 40,0 ათ. ლარი ორვილისპირისა და ალაზნისპირის სტიქიური ნაგავსაყრელების კონსერვაციისთვის)
2. **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება**
   - სუბსიდია +4,0 ათ. ლარი (ჭიდაობის ფედერაციის სუბსიდირება)
   - სხვა ხარჯები + 6,0 ათ. ლარი (ადგილობრივი ღონისძიებების დასაფინანსებლად)
3. **საკრებულო**
   - არაფინანსური აქტივების ზრდა + 55,0 ათ. ლარი (ავტომობილის შესაძენად)
4. **მერია**
   - არაფინანსური აქტივების ზრდა + 395,0 ათ. ლარი (120,0 ათ. ლარი მერიის ფასადისა და შიდა ოთახების რემონტი; 220 ათ. ლარი 4 ავტომობილის შესაძენად)
   - საქონელი და მომსახურება + 15,0 ათ. ლარი (ელ. ენერგიის ტარიფის ზრდის გამო)
   - სუბსიდია +100,0 ათ. ლარი (ძაღლთა თავშესაფარის სუბსიდირება)
5. **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა (სკვერები)**
   - არაფინანსური აქტივების ზრდა + 25,0 ათ. ლარი (9 აპრილის სკვერის მოწყობა)
6. **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**
   - გრანტი +50,0 ათ. ლარი (დმოსთვის გადასარიცხად)
7. **წყლის სისტემების რეაბილიტაცია**
   - არაფინანსური აქტივების ზრდა +35,0 ათ. ლარი (ზემო ალვნის წყალსადენის რეაბილიტაცია)
8. **წყლის სისტემების ექსპლუატაცია**
   - საქონელი და მომსახურება +40,0 ათ. ლარი (ელ. ენერგიის ტარიფის ზრდის გამო)
9. **კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში**
   - არაფინანსური აქტივების ზრდა + 15,0 ათ. ლარი (15,0 ათ. ლარი ზემო ალვანში გარე განათების მოწყობა)
10. **ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური (გარე-განათება)**
    - სუბსიდია +24,0 ათ. ლარი (გარე განათების ბოძების რემონტისთვის)
11. **გარე განათების ექსპლუატაცია**
    - საქონელი და მომსახურება +60,0 ათ. ლარი (ელ. ენერგიის ტარიფის ზრდის გამო)
12. **გზები**
    - საქონელი და მომსახურება +7,0 ათ. ლარი (საგზაო ნიშნების მოსაწყობად)
    - არაფინანსური აქტივების ზრდა +125,5 ათ. ლარი (სააკაძის, ერისთავის, ნონეშვილის და ჭავჭავაძის ქუჩების ორმული შეკეთებისთვის)
13. **ნაპირსამაგრი**

- არაფინანსური აქტივების ზრდა +26,5 ათ. ლარი (ჭართალის გზის დამც. ნაგებობის მოწყობა)

14. ხევების გაწმენდა ნატანისგან

- სხვა ხარჯები + 50,0 ათ. ლარი (საკობიანოს სარუეს ხევის გაწმენდა)

15. სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია

- არაფინანსური აქტივების ზრდა + 20,0 ათ. ლარი (საკობიანოს სპორტ. მოედნის მოწყობა)

16. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება

- სოც. უზრუნველყოფა +17,0 ათ. ლარი (ემატება სხვადასხვა მუხლებში)

17. ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური (დასუფთავება)

- სუბსიდია +15,0 ათ. ლარი (სკვერების მოვლა-პატრონობისთვის)

18. ა(ა)იპ სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა

- არაფინანსური აქტივების ზრდა +10,0 ათ. ლარი (წყლის ტუმბოების შესაძენად)

19. ა(ა)იპ ტყე-პარკების მოვლა-პატრონობა

- სუბსიდია +5,0 ათ. ლარი **(ემატება რეინჯერის შტატი (შვეიცარიის ტყის))**

20. სარეზერვო ფონდი

- საქონელი და მომსახურება +50,0 ათ. ლარი (შეჭირვებული მოსახლეობისათვის 2020 წ. შეძენილი კვების პროდუქტების ხარჯის ასანაზღაურებლად)

21. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება

- სუბსიდია +45,0 ათ.ლარი (გასულ წელს შეძენილი ინვენტარის თანხის ასანაზღაურებლად)

22. მგფ-ის სესხის დაფარვა

- პროცენტი +5,9 ათ. ლარი

შიდა პარამეტრების ცვლილება

მატება

1. **ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება**
   - სუბსიდია +50,0 ათ.ლარი (ელ. ენერგიის ღირებულება)
2. **ბაღების არაფინანსური (მერია)** + 30,0 ათ. ლარი (ქ. ახმეტის N2 ბაღის საქვაბის შენობის გარეთ გამოტანა)

კლება

1. **ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება**
   - არაფინანსური აქტივების ზრდა - 50,0 ათ.ლარი (გადატანილია სუბსიდიაში)
2. **კლუბები**
   - არაფინანსური აქტივების ზრდა -30,0 ათ. ლარი

სხდომა დატოვა - ლევან გოგოთიძემ.

აზრი გამოთქვა:
შაქრო ტერტერაშვილმა პანდემიის პირობებში, როდესაც შემოსავლები შემცირებულია, 5 ავტომობილის შეძენა შეუძლებელია, შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე. შესაძლებელია რესურსების უფრო ეფექტური გადანაწილება.

ვანო ნასყიდაშვილმა უპასუხა:
„ჩვენი მანქანები მწყობრიდანაა გამოსული და მიუხედავად მრავალჯერადი მცდელობისა, ვერ გაიარეს ტექნიკური დათვალიერება. ამიტომ გამოვყავით ეს თანხა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ავტოპარკის განახლება მერიისა და მთლიანად რაიონში თვითმმართველი ორგანოს ფუნქციონირებისათვის.

შაქრო ტერტერაშვილმა აღნიშნა: მოედნის რეკონსტრუქციის და ომში დაღუპული გმირების მემორიალების გადატანასთან დაკავშირებით სწორი იქნებოდა, თუ ამ საკითხს ერთად შევათანხმებდით და გადავწყვეტავდით.

ვანო ნასყიდაშვილმა უპასუხა:
პროექტის საბოლოო ვარიანტი დამუშავების პროცესშია და აუცილებლად გავივლით ამ საკითხს საკრებულოსთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 25 წევრი.

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 5 (შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი, დ. ავაზაშვილი, თ. ბოდაველი.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 1: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - ნ.ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის დამატება სოცპროგრამის იმ მუხლში, სადაც კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით შესაძლოა იმატოს მომართვიანობამ.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის გზით სოციალური დახმარების პროგრამის მოსახლეობის საჭიროებებისადმი მისადაგება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით გაიზარდა სოციალური პროგრამის ბიუჯეტი 17 000 ლარით რაც აისახა დანართ 1-ს მე 3 მუხლში. ზემოაღნიშნულმა ცვლილებამ საჭირო გახადა დანართი N2-ს შესაბამის ცხრილში **(18. განსაკუთრებულ შემთხვევებში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარება იმ პირების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან)** მატების ასახვა და პროგრამის ბიუჯეტთან შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 25 წევრი.

მომხრე - 20

მონაწილეობა არ მიიღო - 5 (შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი, დ. ავაზაშვილი, თ. ბოდაველი.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 2: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

სხდომა დატოვა - შ. ტერტერაშვილმა და გიორგი მაისურაძემ.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დ.აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელებიც სრულად ამოქმედდა 2021 წლის პირველ იანვარს. აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში შესული ცვლილებები, ამ ცვლილების თანახმად,

56. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები

1. მუნიციპალიტეტი საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებს სოციალურ მუშაობას, რაც გულისხმობს:

ა) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას;

გ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას;

დ) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას;

ე) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას;

ვ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარებას;

ზ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარებას.

2. სოციალური მუშაობის ჩატარება არის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს.

3. სოციალურ მუშაობას კოორდინაციას და ადმინისტრირებას უწევს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მერიის სტრუქტურული ერთეულის დებულება უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონის მოთხოვნებს, რათა მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური მუშაობის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომობა.

აუცილებელია, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში შევიდეს შესაბამისის ცვლილებები, კერძოდ, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურს დაემატოს ორი ახალი საშტატო ერთეული: სოციალური მუშაკი რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ჯეროვნად შეასრულოს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი უფლებამოსილებები.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილების ცვლილება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ჯეროვნად შეასრულოს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი უფლებამოსილებები.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიხედვით საშტატო ნუსხაში უნდა დაემატოს ორი ახალი საშტატო ერთეული: კერძოდ, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურს სოციალური მუშაკი და სპეციალისტი ოჟიოს ადმინისტრაცულ ერთეულში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 23წევრი.

მომხრე - 21

მონაწილეობა არ მიიღო - 2 (ვ. დედაბრიშვილმა და თ. ბოდაველმა.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 3: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

სხდომა დატოვა - ვ. დედაბრიშვილმა.

მოისმინეს:,,ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დ. აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

დაშვებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში: მიკროავტობუსის მძღოლი -1, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი-1, მძღოლები მერიაში-4, ინფორმაციული ტექნოლოგიების - (IT) სპეციალისტი-1, მერის მრჩეველი-2, მერის თანაშემწე-1, მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1; ტექნიკური სპეციალისტი-1.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 22 წევრი.

მომხრე - 20

მონაწილეობა არ მიიღო - 2 (დ. ავაზაშვილმა და თ. ბოდაველმა.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 6: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების, ქ. ახმეტაში, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. N49-ში მდებარე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.04.47.069) მესამე სართულზე არსებული 82.9კვ.მ ფართის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროსთვის, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - თ. კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების, ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქ. N49-ში მდებარე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.04.47.069) მესამე სართულზე არსებული 82.9კვ.მ ფართის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროსთვის, მეათე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 22 წევრი.

მომხრე - 21

მონაწილეობა არ მიიღო - 1 (თ. ბოდაველმა.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 7: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების, ქ. ახმეტაში, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. N49-ში მდებარე

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.04.47.069) მესამე სართულზე არსებული 82.9კვ.მ ფართის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროსთვის, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:55 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თამარ ყეინიშვილი**